7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

7.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მხატვრული ფილმის ჩვენების შემდეგ გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 *შემსყიდველი ვალდებულია:*

8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

8.1.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 *შემსყიდველი უფლებამოსილია:*

8.2.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.2.2 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;

8.2.3 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

8.3 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

8.3.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

8.3.2 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

8.3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;

8.3.4 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

8.3.5 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

8.4 *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

8.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.